ხელშეკრულება №36
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „28" თებერვალი 2017 წ.

ა(ა)იპ ოუფენ ნეტი", ს/კ - **404497790** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ქუბინიძის სახით და **სსიპ - სმართ ლოჯიქი** ს/კ 206350599 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მეჟულუმიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N929 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. ხელშეკრულება - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით და დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;
1.2. ხელშეკრულების ღირებულება - მომსახურების საერთო ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;
1.3. მომსახურების ღირებულება - შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის, ამ ხელშეკრულების დადგენილი წესით, პერიოდულად გადასახდელი თანხა;
1.4. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.5. ინსპექტირება - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ამ ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული IT მხარდაჭერის მომსახურების, CPV- 72400000 (შემდგომში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1000,00 (ათასი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილი ქ. თბილისი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში,
ბ) განიხილოს მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის პრეტენზიები და გონივრულ ვადაში მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე,
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან ორი თვის შემდეგ წაშალოს მიმწოდებლის ინფრასტრუქტურაში განთავსებული შემსყიდველის ნებისმიერი ინფორმაცია (პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, დომეინ მომხმარებლები, ელექტრონული ფოსტები და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება,
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიიღოს მიმწოდებლისგან მომსახურება, თუკი ეს მომსახურება მიმწოდებლის მიერ განხორციელდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით,
ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის და პირობების შესაბამისად,
გ) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაში, რისთვისაც ის ვალდებულია მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო ინფორმაცია, შეასრულოს მიმწოდებლის შესაბამისი მითითებები,
დ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით და რესურსით უზრუნველყოს მიმწოდებლის ინფრასტრუქტურაში არსებული, შემსყიდველის ინფორმაციის (პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, დომეინ მომხმარებლები, ელექტრონული ფოსტები და ა.შ.) მიმწოდებლისგან სრულად წაღება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ორი თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება,
ე) თანამშრომლის გათავისუფლების შემთხვევაში, გათავისუფლებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს მიმწოდებელს გათავისუფლებული თანამშრომლის სახელი, გვარი და პოზიცია, რის შესაბამისადაც მიმწოდებელი მოახდენს შესაბამისი თანამშრომლის ინფორმაციის გაუქმებას და 3 თვის შემდეგ მის სრულ წაშლას,
ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.5. მიმწოდებლის სასერვერო ინფრასტრუქტურაში შემსყიდველის ან მისი თანამშრომლის შესახებ ამ ხელშეკრულების საფუძველზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დაბლოკვის, წაშლის, განადგურების ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველმა ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა ასახოს შესაბამისი ცვლილება თავის სასერვერო ინფრასტრუქტურაში.
5.6. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, მიმწოდებელი პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს მიმწოდებლის მონაცემთა დამუშავებას.
5.7. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის და მიმწოდებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებენ შემსყიდველის თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება ხორციელდება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ერთ თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთმოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წყდება:

13.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლით;

13.1.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

13.1.3. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება დამრღვევი მხარის მიერ შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

13.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ნებისმიერი საფუძვლით ბათილობა/მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას/მოქმედების შეწყვეტას.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის

ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“
ს/კ - 404497790
მისამართი: ქ. თბილისი, სობჩაკის 3/
თაბუკაშვილის 5
ტელეფონი: 2 400178
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი #302007000

ნინო ქუბინიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

სსიპ - სმართ ლოჯიქი
ს/კ - 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ᵃ,
ტელეფონი: 240 55 77,
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707927145

გიორგი მეჟულუმიანი
დირექტორი

მიმწოდებლის მიერ განსახორციელებელი მომსახურება

1. ძირითადი სერვისები - IT მხარდაჭერის მომსახურება:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება ტექნიკური მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის, დისტანციური წვდომის ან მიმწოდებლის მიერ დადგენილი აუცილებლობის შემთხვევაში ინციდენტის ადგილზე მისვლის მეშვეობით.
ბ) კომპიუტერული მხარდაჭერა მოიცავს, შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ოპერაციული სისტემის (Microsoft Windows) და კომპიუტერების პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფას, პრინტერების/სკანერების მხარდაჭერას პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე.
გ) შემსყიდველი ორგანიზაციის კომპიუტერული სისტემის და ქსელის გამართულად მუშაობისთვის, შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს მიმწოდებლის რეკომენდაციები მის მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამების, ფიზიკური ქსელის პარამეტრებისა და სტანდარტების შესახებ.

1.1. სერვისები:
ა) ერთიანი კორპორატიული მონაცემთა ბაზით და ავტორიზაციის მოდულით უზრუნველყოფა (Active Directory);
ბ) ელექტრონული საფოსტო სერვისი (Microsoft Exchange-ის გამოყენებით);
გ) Spam eMail ფილტრაცია;
დ)საკომუნიკაციო და საკონფერენციო სერვისი გარე მომხმარებლების ჩართვის ფუნქციონალით (Microsoft Skype for Business-ის გამოყენებით):
ე) შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ინტრანეტ სერვისის მიწოდება (Microsoft Sharepoint -ის გამოყენებით):
ე.ა) ფაილების გაცვლისა და ვერსიების კონტროლის სერვისი
ე.ბ) პროექტების მართვის მოდული
ვ) უსაფრთხოების სერვისები:
ვ.ა) კორპორატიული დაცვა ვირუსებისაგან
ვ.ბ) ქსელის პერიმეტრის დაცვა არასანქცირებული შეღწევისგან
ვ.გ) ცენტრალიზებული ანტივირუსის სერვისი
ვ.დ) ვებ ფილტრაციის სერვისი
ზ) შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, VoIP ტელეფონიის სერვისი:
ზ.ა) მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ტელეფონების კონფიგურაცია
ზ.ბ) პროგრამული ტელეფონების (Soft Phone) ინსტალაცია და კონფიგურაცია
ზ.გ) სატელეფონო ცხელი ხაზის კონფიგურაცია და გამართვა
თ) ქსელური სერვისები:
თ.ა) არსებული ფიზიკური კომპიუტერული ქსელის მომსახურება (არ ითვალისწინებს შენობაში ახალი/დამატებითი არხების და კაბელების გაყვანას)
თ.ბ) შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, დაშიფრული ქსელური კავშირის უზრუნველყოფა სხვა სახელმწიფო უწყებებთან (იგულისხმება აღნიშნული სამუშაოს მხოლოდ ტექნიკური ნაწილის შესრულება)

თ.გ) შემსყიდველის კუთვნილი ქსელური აპარატურის კონფიგურაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა

ი) პრინტერების/სკანერების მხარდაჭერა პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე

კ) სმართფონებზე სსიპ სმართ ლოჯიქის სერვისების კონფიგურაცია. თავსებადი ოპერაციული სისტემებია: Android, IOS, Windows Mobile.

ლ) შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებლის მეერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ვებსაიტის განთავსება მომხმარებლის დაცულ ჰოსთინგზე.

1.2. წვდომის დონეები ვებ საიტებზე:

ა) I დონის წვდომა - სახელმწიფო და საინფორმაციო ვებ საიტებზე

ბ) II დონის წვდომა - სრული წვდომა გარდა სოციალური ქსელების, გასართობი და სხვა მსგავსი ტიპის ვებ საიტებისა;

გ) III დონის წვდომა - II დონეს დამატებულია სოციალური ქსელები და ვიდეო სთრიმინგი;

დ) IV დონის წვდომა მენეჯმენტისთვის - იბლოკება მხოლოდ ვირუსების შემცველი ვებ საიტები.

**** შენიშვნა: I დონის წვდომა ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, დანარჩენ დონეებზე წვდომის მქონე პირებს განსაზღვრავს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.***

1.3. ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი:

ა) ყველა ტექნიკური ინციდენტი, შემსყიდველის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ უნდა დარეგისტრირდეს სსიპ „სმართ ლოჯიქის" ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტში, ელექტრონული ფოსტის - support@cloud.gov.ge, ტექნიკური მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის - 2 405 818 ან ტექნიკური მხარდაჭერის პორტალის support.cloud.gov.ge მეშვეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის ვალდებული მოახდინოს რეაგირება დაურეგისტრირებელ ტექნიკურ ინციდენტებზე.

ბ) სსიპ „სმართ ლოჯიქის" ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის სამუშაო საათებია, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 დან 18:00 მდე. არასამუშაო საათებში დარეგისტრირებულ ტექნიკურ ინციდენტებზე რეაგირება მოხდება მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი: **ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"** ს/კ: 404497790 **ნინო ქუბინიძე** დირექტორი	**მიმწოდებელი:** **სსიპ სმართ ლოჯიქი** ს/კ: 206350599 **გიორგი შეულუმიანი** დირექტორი